ხაშურის მოამბე

№32 (113) 28 აგვისტო, ორშაბათი, 2017 წელი

დღეს მარიამობაა
ღვთისმშობლის მადლმოსილი წყალობა არ მოგკლებოდეთ

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ, იერუსალიმში ცხოვრობდა, იოანე ღვთისმეტყველის სახლში. უბიწო ქალწული მოციქულებთან ერთად ლოცულობდა, უყვებოდა მათ ძე ღვთისას შესახებ, ნუგეშს სცემდა და განამტკიცებდა. ყველანი საოცარ მოწიწებას გრძნობდნენ დაუტევნელის დამტევნელი დედის მიმართ. სხვა ქვეყნებიდანაც მოდიოდნენ მის სანახავად და მისი მადლმოსილი სიტყვების მოსასმენად.

როცა ჰეროდე მეფემ ქრისტიანთა დევნა დაიწყო, 43 წელს, ყოვლადწმიდა მარიამმა იოანე ღვთისმეტყველთან ერთად ეფესოს მიაშურა, იყო კვიპროსზეც - მკვდრეთით აღმდგარ ლაზარესთან, ქრისტიანობა იქადაგა ათონის წმიდა მიწაზე. ბოლოს კი, ღვთის ნებით, კვლავ იერუსალიმს დაუბრუნდა. ის ხშირად ეველდრებოდა უფალს, მალე მიეღო მისი სული სასუფეველში. და აი, ერთხელ, როცა მარიამი მაცხოვრის აკლდამაში ლოცულობდა, ცა გაიხსნა, გარდამოხდა გაბრიელ მთავარანგელოზი ხელში ზეთისხილის რტოთი და უბიწო ქალწულს ახარა: „გიხაროდენ, მარიამ, რომელმან ჰშვენ ღმერთი ჩუ ზნი, ლოცვა შენი აღვიდა წინაშე ძისა შენისა და შეწირულ იქმნა, ამიერიდგან დაუტევებ სოფელსა, ნეტარო, და ზეცასა აღხვალ!“ ღვთისმშობელი დიდად გაახარა ამ უწყებამ და მიცვალებისათვის მზადება დაიწყო.

მოციქულები ამ დროისათვის იერუსალიმში არ იყვნენ - სხვადასხვა ქვეყანაში ქადაგებდნენ, მაგრამ მარიამს ძალიან სურდა, ამსოფლიდან განსვლამდე ყველანი ერთად ეხილა. უფალმა ეს სურვილიც აუსრულა ნეტარს: მეესეულად შემოჰკრიბა მასთან მაცხოვრის ყველა მოწაფე. ხუთი მათგანი მკვდრეთით აღმდგარიყო. მოციქულები მიესალმნენ მას და მოუთხრეს, თუ როგორ იქნენ აღტაცებულნი მოღვაწეობის ადგილებიდან. გახარებულმა უბიწო ქალწულმა მადლობა შესწირა ღმერთს, შემდეგ კი თავის მიცვალებაზე დაიწყო საუბარი.

სწორედ ამ დროს ასევე სასწაულებრივ წარდგა მათ წინაშე პავლე მოციქულიც თავისი მოწაფეების: დიონისე არეოპაგელის, საკვირველი იეროთეოსის, ღვთაებრივი ტიმოთეს და სხვა სამოცდაათთაგანთა თანხლებით. მარიამი სახელებით უხმობდა ყველას, ქებას ასხამდა მათ სარწმუნოებას და აკურთხებდა. შემდეგ წმიდა დედა იაკობ მღვდელმთავრის ხელით ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეზიარა. მესამე ჟამს - ღვთისმშობლის ამსოფლიდან გასვლისას, საოცარი ნათლით გაბრწყინდა ის ოთახი, რომელშიც იგი იწვა, „იქმნა დიდებით განსაკჳრვებელი მოსლვა ქრისტეს ღვთისა და ძისა მისისა დიდებითა მით გამოუთქმელითა“. მან წმიდა და ყოვლად უბიწო სული მშობლისა თვისისა „საღმრთოთა მათ და უხრწნელთა მკლავთა თჳსთა ზედა მიირქუა“ და ანგელოზთა გალობის თანხლებით აამაღლა ზეცად.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 21 ოქტომბერს გაიმართება

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა არჩევნების თარიღი გამოაცხადა.

არჩევნების დანიშვნის შესახებ ოფიციალური აქტი არჩევნებამდე 60 დღით ადრე გამოიცემა, რის შემდეგაც საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყება.

არჩევნების თარიღის დანიშვნას პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაცია სჭირდება. შესაბამისი აქტი პრემიერთან უკვე გადაგზავნილია.

„საზოგადოება და პოლიტიკური ძალები თარიღის თაობაზე ინფორმირებული ორი თვით ადრე იყვნენ, ახლა ეს კონკრეტული დოკუმენტია, რომელიც გამოიცა და გადაგზავნილია კონტრასიგნაციისთვის“, - აღნიშნა მარგველაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №75

2017 წლის 17 აგვისტო, ხაშური

ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით (დროებითი განთავსებისათვის) ადგილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ივლისის „2017 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ“ №1588 განკარგულების და 2017 წლის 9 აგვისტოს ღვინის ეროვნული სააგენტოდან შემოსული 03/515 წერილის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტი, თვითმმართველის ქალაქების მსგავსად, განსაზღვრავს ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით ადგილებს, საიდანაც განხორციელდება ვაჭრობა, რათა დაცული იქნეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები, მოძრაობის უსაფრთხოება და ხაშურის იერსახე.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ივლისის „2017 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ“ №1588 განკარგულების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2017 წლის 1 დეკემბრამდე ყურძნის რეალიზაციის მიზნით (დროებითი განთავსებისათვის) განისაზღვროს შემდეგი ადგილები:

ა) რკინიგზის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია;
ბ) რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია;
გ) ხაშურის „ივერია“-ს სტადიონის მიმდებარე ტერიტორია;
დ) იმერეთის ქუჩა (ბაზრის მიმდებარე ტერიტორია);
ე) ბორჯომის ქუჩა (ხაშური-ვალე- ახალციხის საავტომობილო გზის გასწვრივ, მარჯვენა მხარეს 1 კმ-ზე.)
ვ) ბორჯომის ქუჩა (საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის ბინების მიმდებარე ტერიტორია);
ზ) ყოფილი აგურის ქარხნის დასახლების მიმდებარე ტერიტორია;
თ) შუშის ქარხნის დასახლების მიმდებარე ტერიტორია;
ი) იური გაგარინის ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიანი ბინების მიმდებარე ტერიტორიაზე.

2. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

თვითმმართველი თემის - ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები

№	ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის დასახელება	მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქის საზღვრები	მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი უბნების დასახელება	უბნების რაოდენობა	ამომრჩეველთა რაოდენობა მაჟ. ოლქების მიხედვით
35.01.01	ხაშურის ქალაქის	ხაშური	#2, 3, 4, 5, 44 საარჩევნო უბანი	5	5972
35.01.02	ხაშურის ქალაქის	ხაშური	#1, 6, 10, 14, 43 საარჩევნო უბანი	5	5850
35.01.03	ხაშურის ქალაქის	ხაშური	#7, 8, 9, 11, 45, 46 საარჩევნო უბანი	6	6509
35.01.04	ხაშურის ქალაქის	ხაშური	#12, 13, 42, 49, 50 საარჩევნო უბანი	5	5879
35/02	სურამის დაბის	დაბა სურამის სადაბო	#16, 17, 18, 19, 20, 21, 47 სურამის საარჩევნო	8	8553
		ცენტრი, ბიჯნისი,			
		ზეკოტა, ურთხვა, პატარა	უბანი		
		ბეკამი, დიდი ბეკამი,	#22 ბეკამის საარჩევნო უბანი		
		ჩუმათელეთი			
35/03	ალის თემის	ალი, ბრილი, ნაბახტევი, დუმაცხოვი, ცხეთიჯვარი, ქინძათი, კლდისწყარო, ზ.აძვისი, ახალუბანი, უწლევი	#23 ალის საარჩევნო უბანი #24 ბრილის საარჩევნო უბანი #25 ნაბახტევის საარჩევნო უბანი #51 ქინძათის საარჩევნო უბანი	4	2600
35/04	გომის თემის	გომი, აგარები, სატივე,	#26 გომის საარჩევნო უბანი	3	2734
		ვაყა, ქვემო აძვისი,	#27 სატივეს საარჩევნო უბანი		
		ხიდისყური	#28 ვაყას საარჩევნო უბანი		
35/05	ოსიაურის თემის	ზემო ოსიაური, ახალსოფელი, ქვემო ოსიაური, ნარუჯები, ღანძილები, ღუდა	#29, 48 ოსიაურის საარჩევნო უბანი	2	1767
35/06	ფლევის თემის	დიდი ფლევი, პატარა ფლევი, ნაცარგორა, ტკოცა	#30 ფლევის საარჩევნო უბანი #31 ტკოცის საარჩევნო უბანი	2	1272
35/07	ქვიშხეთის თემის	ქვიშხეთი, ბეღლეთი,	#32 ტაშისკრის საარჩევნო უბანი #33 ქვიშხეთის საარჩევნო უბანი #34 ტეზერის საარჩევნო უბანი	3	3471
		ბულბულის ციხე,			
		მონასტერი, რუსიაანთ უბანი, სავანის უბანი, სათივე, სარმანიშვილის კარი, ტაშისკარი,			
		ტეზერი, ყიფიაანთ			
		უბანი			
35/08	ცოცხნარის თემის	ცოცხნარა, ქემფერი, ოძისი, ცივწყარო, ცედანი, წაბლოვანა	#35 ცოცხნარის საარჩევნო უბანი	1	820
35/09	ცხრამუხის თემის	ცხრამუხა, თაგვეთი,	#36 ცხრამუხის საარჩევნო უბანი #52 ცხრამუხის საარჩევნო უბანი	2	1631
		რბონა, ქაშუეთი, კოდიწყარო, ჯვართმუხა,			
		დამჩხეულა			
35/10	წაღვლის თემის	წაღვლი, ზემო	#37 წაღვლის საარჩევნო უბანი #38 ბროლოსნის საარჩევნო უბანი	2	1039
		ბროლოსანი,			
		კლდისწყარო, ტიტვინისწყარო, ქვემო			
		ბროლოსანი, ყობი,			
		ჩორჩანა, წეღვერი			
35/11	წრომის თემის	წრომი, ახალშენი, დიდი	#39 წრომის საარჩევნო უბანი #40 ყელეთის საარჩევნო უბანი	2	517
		ყელეთი, პატარა			
		ყელეთი, ნადარბაზევი, დიდი ხალვეთი, პატარა			
		ხალვეთი, იმერლიან			
		კარი			
35/12	ხალების თემის	დიდი ხალები, პატარა ხალები, მღვრიე წყალი, სარტყელა, ღართა, ალექსანდრეს წყარო	#41 ხალების საარჩევნო უბანი	1	114
35/13	ხცისის თემის	ხცისი, დიდი თხილნარა, კრისხევი, მიწობი, პატარა თხილნარა	#15 ხცისის საარჩევნო უბანი	1	698
				52	49426

(დასაწყისი იხ. ხმ. №31, გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ზოგიერთი ცნობა სურამის შესახებ

(მასალები წიგნისათვის ,,სურამი")

მართალია, ვახუშტი აქვე ლაპარაკობს წმინდა გიორგის სხვა ეკლესიაზეც („ხიდისკარიდამ წავალს მცირე მთა კლდიან - ქარაფიანი ჩრდილოთ, ვიდრე კავკასამდე. ამაზედ არს ეკლესია თხემსა ზედა შენი, წმიდის გიორგისა, სასწაულიანი. უწოდებენ მთითურთ ველეიეთსა“), მაგრამ მრავალძალი, რომ უნდა იგულისხმებოდეს მთის წმინდა გიორგში, ამაზე თავად ვახუშტი მიგვანინშნებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბარულას ხევი ვახუშტის მიხედვით, ,,სდის წმინდის გიორგის მთას“. ბარულაზეა საუბარი მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესიის ადგილმდებარეობის დაფიქსირების დროსაც.

ამდენად, მთის წმინდა გიორგი, რომელსაც ბაგრატ VI სურამი შესწირა, რაჭის კარგად ცნობილი მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესიაა.

ამრიგად, სურამლების შემდეგ სურამი სამეფო მამული ხდება და მას სამეფო კარი განკარგავს. მოგვიანებით, XVI საუკუნიდან სურამი ბატონიშვილების მამული ხდება, რაც არაერთი დოკუმენტით დასტურდება.

XIV-XV სს-ში სურამის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ცხოვრებაში კნინდება. ამაზე თავისი გავლენა იქონია თემურ-ლენგის შემოსევებმა და ქვეყანაში შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა. თემურ ლენგის შემოსევების შედეგები განსაკუთრებით საგრძნობი იყო ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამან თავისი ასახვა ჰპოვა სოფლის მეურნეობის, ვაჭრობა -ხელოსნობის, საქალაქო ცხოვრების, კულტურისა და ცხოვრების სხვა ნებისმიერი სფეროს მდგომარეობაში.

მძიმე სურათია საქალაქო ცხოვრების თვალსაზრისითაც. მოიშალა არაერთი მანამდე დაწინაურებული ქალაქი. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა სურამიც.

მხოლოდ XVI ს-დან იწყება სურამის ხელმეორედ დაწინაურება, როცა ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო დაიშალა ცალკე სამეფო-სამთავროებად. ამან ხელი შეუწყო სურამისა და მისი ციხე-სიმაგრის როლისა და დანიშნულების უფრო მეტად ზრდას ქვეყნის ცხოვრებაში. მით უფრო, რომ იგი ქართლის სამეფოსა და მასთან გამეზობლებული ოსმალეთის საზღვრის სიახლოვეს აღმოჩნდა. ამიერიდან სურამმა და მისმა ციხე-სიმაგრემ მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა ქვეყნის ცხოვრებაში, რაც აისახა მის დაწინაურებაშიც.

XVII – XVIII საუკუნეებში სურამი გვიანფეოდალური ხანის ქართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქთაგანია.

1624 წლის ერთ რუსულ დოკუმენტში სურამი ქალაქად მოიხსენიება.

ჟან-შარდენი, ფრანგი მოგზაური, წერს: „ქართლში ოთხი ქალაქია: გორი, სურამი, ალი და ტფილისი”. თუმცა იგივე შარდენი სურამის შესახებ მიუთითებს რომ „სურამი, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ და მხოლოდ დაბას წარმოადგენს, იგი უფრო პატარაა, ვიდრე გორი”.

ჟან-შარდენი საინტერესოდ აღწერს სურამსა და მის შემოგარენს: „...გავჩერდით სურამის ველზე, ციხესთან ახლოს დიდ სოფელში, რომელსაც ასევე სურამი ჰქვია. სურამის ველი ძალიან ლამაზი ადგილია, დაფარულია დაბალი ტყეებით, სოფლებით, ბორცვებით, აგარაკებით და ქართველ დიდებულთა პატარა ციხეებით. მთელი მხარე დამუშავებულია, ერთი სიტყვით, იგი უმშვენიერესი კუთხეა“ .

სურამმა ასეთივე მდგომარეობა, – მცირე ქალაქის სტატუსი შეინარჩუნა XVIII საუკუნის განმავლობაშიც. ვახუშტი ბატონიშვილი მას მცირე ქალაქს უწოდებს: „არს სურამი, მცირე ქალაქი”.

ალ. ამილახვარი სურამს ქართლის ერთ-ერთ მთავარ ქალაქად განიხილავს გორთან, ცხინვალთან და ალთან ერთად.

იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთში ქალაქის სამ ტიპზე მიუთითებს ესენია: ყასაბა, ყასამჩა და ქალაქი. სურამი იოანე ბატონიშვილის მიხედვით, ყასაბა ქალაქია (ი. ბატონიშვილი, აღწერა... .

ასეთივე ქალაქებად არის მის მიერ მიჩნეული ანანური, ახალგორი, დუშეთი და ცხინვალი. გორი ყასამჩა ქალაქია, ხოლო ახალციხე, სიღნაღი და თბილისი ქალაქი.

ყასაბა და ყასამჩა სპარსული ტერმინებია. ყასაბა ნიშნავს სოფელს, დასახლებულ პუნქტს, ქალაქის ტიპის დასახელებას, პატარა ქალაქს, დაბას. რაც შეეხება ყასამჩას, ისიც ქალაქის აღმნიშვნელი ტერმინია, ხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი ყასაბა ქალაქზე უფრო დაწინაურებული ქალაქის აღმნიშვნელად იხმარება.

ამრიგად, სურამი ქალაქის ტიპის დასახელებაა, პატარა ქალაქია, დაბაა.

გამაგრებულ დაბად მოიხსენიებს სურამს მურავიოვი, რომელიც ამის შესახებ 1770 წელს პანინს წერს.

იაკობ რაინექსი წერს, რომ სურამი (პლინიუსის სურიუმი) ქალაქია, მდებარეობს მდინარე სურამულაზე და უწინ კოლხეთს ეკუთვნოდა.

ერეკლე II-ს სურამი ქართლ-კახეთის ქალაქთა შორის აქვს მოხსენებული.

გიულდენშტედტი შიდა ქართლის მნიშვნელოვან ქალაქებს შორის – ცხინვალთან და გორთან ერთად ასახელებს სურამს.

ამრიგად, XVII-XVIII საუკენეებში სურამი, თავის სიმცირის მიუხედავად, თითქმის ერთმნიშვნელოვნად სახელდება ქართლის ერთ-ერთ ქალაქად.

ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც სურამთან დაკავშირებით.

1701 წელს, როდესაც ვახტანგ ბატონიშვილი სურამში - მამამისის საუფლისწულო მამულში დადგა, შემოიკრიბა თავისთან საუკეთესო მწერალ-მწიგნობარნი და დიდი სამეცნიერო და კულტურული მუშაობა გააჩაღა. სულხან-საბასთან ერთად შეადგინა დასტურლამალი, სამართლის წიგნი. შეკრიბა სიგელ-გუჯრები, ქართლის ცხოვრების ხელნაწერები და ნუსხები, შექმნა „სწავლულ კაცთა კომისია“, რომელსაც ბერი ეგნატაშვილი ჩაუყენა სათავეში. კომისიამ შეძლო, შეევსო დიდი ხარვეზი ქართულ ისტორიოგრაფიაში და შეადგინა „ახალი ქართლის ცხოვრება“. ვახტანგის საქმიანობა, რასაც ადგილი ჰქონდა სურამში, XVIII საუკუნის I მეოთხედში, ქართული მეცნიერებისა და კულტურის აღორძინების ხანის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ, ეს კი მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს სურამის კულტურული ცხოვრების ისტორიისათვის.

ინტერესს უნდა იწვევდეს საკითხი, თუ სად მდებარეობდა ძველი ქალაქი სურამი და როგორი ურთიერთობა იყო ქალაქსა და მისი სახელით ცნობილ ციხეს შორის. „შუა საუკუნეების ქალაქები,- წერს პროფ. პ. ზაქარაია, -წესისამებრ, ციხესთანაა დაკავშირებული. უფრო მეტიც, იმ დროს ქალაქი ციხე-სიმაგრეა. ჩვეულებრივ ასე იყო შუა საუკუნეების ქალაქი, მაგრამ შეიძლება, ყოფილიყო გამონაკლისიც, ე.ი. ქალაქი ციხის გარეთ, მას საკუთარი გალავანი არ ჰქონოდა“.

იმ მონაცემის მიხედვით, რაც გაგვაჩნია ქალაქ სურამისა და მისი ციხის შესახებ, არ ჩანს, რომ სურამი, როგორც ქალაქი ციხის შიგნით ყოფილიყო განთავსებული.

პროფ. პ. ზაქარაია სურამის ძველი ნაქალაქარის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით შემდეგს წერს: „სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სურამი ფეოდალური ხანის ბოლომდე ქალაქი იყო და გასულ საუკუნეებში ისე მოშლილა ყველაფერი, რომ ახლა ნაქალაქარიც გარკვევით არ ჩანს. ასეთი სახელის მატარებელ ქალაქს დღემდე არ მოუღწევია. მისი ადგილმდებარეობა, კონკრეტულად, თუ სად იყო, დღევანდელ სოფელ სურამში არ ჩანს. არც მემატიანეებს მიუთითებიათ. ადგილზეც ქალაქის ნანგრევები აშკარად არ ჩანს“.

პროფ. პ. ზაქარაია ამავე დროს სავსებით სამართლიანად მიუთიებს იმ გარემოებაზე, რომ ციხე აუცილებლად ძველი ქალაქის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო და მის გარშემო მიაჩნია სავარაუდებელი ნაქალაქარის არსებობა. „ლოგიკა გვკარნახობს, - აღნიშნავს პ.ზაქარაია, - რომ ქალაქის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს ეს დიდებული ციხე, რომელიც სოფლის აღმოსავლეთის ნაწილში დგას. მართალია, ჩვენამდე მოაღწია ციხის მთავარმა ნაწილმა, მაგრამ მისი გაგრძელება უნდა ყოფილიყო ციხიანი კლდოვანი გორაკის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ნაწილობრივ დასავლეთით (ალბათ, უფრო ჩრდილოეთით, რადგან დასავლეთით ჩამოედინება მდ. სურამულა და ამ მხარეს ციხის განვითარება არ მოხერხდებოდა- თ.ლ.). ამ მონაკვეთზე ჯერ კიდევ 40-იან წლებში ჩანდა რაღაც ნაგებობებისა და გალავნის კვალი. შეიძლება, ეს ნაშთები ნაქალაქარზე მიგვანიშნებდეს“.

პროფ. პ. ზაქარაია ქალაქ სურამთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქალაქი ციხის გარეთაა გაშენებული. იგი წერს: „აქ უნდა გავიხსენოთ ვახუშტის ნაშრომის ერთი ადგილი. ავტორი ქალაქის დახასიათების შემდეგ აგრძელებს: „არს საშუალს ციხე მაღალს კლდესა ზედა“, ე.ი. ქალაქის შუაზე არის ციხე. ვახუშტის ამ ტექსტიდან ნამდვილად დასტურდება, რომ კლდეზე აღმართული ციხე- ქალაქის შუაშია მოქცეული. ჩვენ მიერ მოყვანილი მსჯელობა ციხისა და ქალაქის ურთიერთობაზე, ვფიქრობთ, ამ ცნობით დასტურდება“.

ამრიგად, პროფ. პ. ზაქარაია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაზე დაყრდნობით, კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სურამში ციხე „ქალაქის შუაშია მოქცეული“ და იგი არ წარმოადგენს ციხე-ქალაქს, როგორც ხშირ შემთხვევაში ეს შუა საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი. აქ ქალაქის ციხის გარეთ არის და მას საკუთრივ გალავანი არ გააჩნია.

აქ მხოლოდ ერთ მომენტზე უნდა შევაჩეროთ ყურადება. მიუხედავად იმისა, რომ პროფ. პ. ზაქარაია სწორედ განსაზღვრავს ციხისა და ქალაქის ურთიერთდამოკიდებულებას, არასწორად აქვს გაგებული ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები- „არს საშუალს ციხე“. აქ ვახუშტი იმაზე კი არ მიგვანიშნებს, რომ ციხე ქალაქის შუაშია მოქცეული, არამედ იძლევა მის დახასიათებას და მიუთითებს, რომ სურამის ციხე სიდიდის მიხედვით საშუალოა, იგი დიდი ციხე არ არის, მაგრამ არც პატარაა, საშუალოა. ამდენად, ვახუშტის ცნობის პ. ზაქარაიასეული გააზრება ქალაქისა და ციხის ურთიერთობის განსასაზღვრავად არ გამოდგება.

რასაც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს სურამის ციხის შესახებ, იგივე დასტურდება სხვა ავტორებთანაც (ევლია ჩელები, ჟან შარდენი და სხვები). ეს ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სურამის ციხე პატარა, საშუალო ციხე-სიმაგრეა; ასახელებენ მისი გარნიზონის რაოდენობასაც, რაც საკმაოდ მცირეა და სხვა. იმაზეც მიუთითებენ, რომ იგი სურამთან, დასახლებულ პუნქტთანაა ახლოს.

როგორი განვითარებაც არ უნდა ჰქონოდა სურამის ციხეს, იგი მაინც არ იქნებოდა ციხე-ქალაქი, ადგილზე ამის არავითარი მონაცემები არ არსებობს. ამაზე მიგვანიშნებს უცნობი იტალიელი მხატვრის გრავიურაც. მართალია, ციხის გარშემო მოჩანს გალავნის ნაწილი, რაღაც შენობები, მაგრამ ეს მაინც არ მიუთითებს, რომ იგი ციხე-ქალაქია. 1770 წლის აპრილის აღწერით, სურამში 200 კომლი მოსახლეა (დაახლოებით 1000-ზე მეტი კაცი), რომელთა განთავსება ციხის შიგნით შეუძლებელი იქნებოდა, მით უფრო, რომ ყველა ავტორი მიუთითებს, რომ იგი საშუალო ციხეა და მაღალ კლდეზეა აგებული. ციხის ასეთი განლაგება კი მოსახლეობის ციხის შიგნით ცხოვრების არავითარ შესაძლებლობას არ იძლევა.

ქალაქი სურამი ციხის გარეთაა, მის გარშემოა განსახლებული მოსახლეობა.

მაგრამ მაინც როგორი იყო ქალაქის განვითარება ციხის გარშემო?

როგორც ცნობილია, სურამი თავიდანვე წარმოდგენილი იყო ქართველი, ებრაელი და სომეხი მოსახლეობით. ვახუშტის მიხედვით, „...არს სურამი, მცირე ქალაქი, მოსახლენი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი...“.

თუ გვიანდელ ცნობებს მივიღებთ მხედველობაში, მოსახლეობა სურამში ციხის გარშემო ეთნიკური ნიშის მიხედვით უბნებად ცხოვრობს. ალბათ, ასე უნდა ყოფილიყო ადრეც.

1878 წელს ჟურნალი „ივერია“ წერს: „სურამი უბან-უბან არის დაყოფილი მცხოვრებთა კვალობაზედ. არის განათლებულთა უბანი, გლეხთა უბანი, სომეხთა უბანი და ურიათა უბანი“.

იგივე „ივერიის“ 1888 წლის ცნობით, ,,სურამს ძველთაგანვე, ციხის გარდა, შერჩენია სომხები და ურიები, რომელნიც ციხის გარშემო ცხოვრობენ“.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, ისევე როგორც XIX საუკუნეში, წინა საუკუნეებშიც, ქალაქი სურამი უბნებად იყო წარმოდგენილი. ციხის გარშემო იყო სომხებისა და ებრაელების დასახლება, აქვე უნდა ვივარაუდოთ ქართველი მოსახლეობის რაღაც ნაწილიც, რაზეც უნდა მიგვანიშნებდეს ამ მხარეს (მდ. სურამულას მარცხენა სანაპირო) ქართული ეკლესიების - კვირაცხოველის, ღვთისმშობლისა და წმ. მარინეს ეკლესიების არსებობაც.

მაგრამ ქართული მოსახლეობა ძირითადად მაინც მდ. სურამულას მარჯვენა მხარეს ჩანს. ღვთაებისა და სამების ეკლესიების სიახლოვეს. აქ უნდა ვიგულისხმოთ ჟურნალ „ივერიის“ დასახელებული „განათლებულთა უბანი“ და „გლეხთა უბანი“. „განათლებულში“ თავადაზნაურობა, ხოლო „გლეხებში“ ჩვეულებრივ ქართველი მოსახლეობა უნდა მოვიაზროთ.

ზოგიერთ ისტორიულ წყაროში გვხვდება „ზე სურამიც“. „ზე სურამი“ დაფიქსირებულია რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარში, უფრო ადრე დოროთეოზ კათალიკოსის იტრიის ღვთსმშობლის ეკლესიისადმი შეწირულობის ცნობილ სიგელში და სხვა. „ზე სურამი“ ზემო სურამს ნიშნავს და იგი გვერდისუბანი უნდა იყოს. ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ წყაროებში ერთდროულად, მონაცვლეობენ „ზე სურამი“ და გვერდისუბანი. „ზე სურამისა“ და გვერდისუბნის იდენტურობაზე მიგვანიშნებს აგრეთვე მთელი რიგი სხვა მონაცემებიც. ამრიგად, სურამის ციხის გარშემო არსებობს ქალაქი. ციხე-სიმაგრე კი მის სიახლოვეს, ამაღლებულ გორაკზეა აღმართული.

სურამის მოსახლეობა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, თავიდანვე ერთფეროვანი არ უნდა ყოფილიყო, აქ საუკუნეების მანძილზე ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები და სომხები. ამ ფაქტმა ასახვა ჰპოვა, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებში.

ევლია ჩელები მიუთითებს, რომ სურამის „მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველები, გოქდოლაკები და სომხები არიან” .

ასეთივე შემადგენლობით არის წარმოდგენილი სურამის მოსახლეობა ვახუშტი ბატონიშვილთან. მის მიხედვით, აქ „მოსახლენი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანნი”.

შემორჩენილია მოსახლეობის XVIII საუკუნის არაერთი აღწერა, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის სურამის მოსახლეობის არამარტო ეთნიკურ თუ რელიგიურ, არამედ სოციალურ მდგომარეობაზეც.

თ. ლაცაბიძე

სავანისუბნის მაყვალმა შეიძლება ევროპაშიც შეაღწიოს

ქალბატონი ნანა სავანისუბნის რძალია, თბილისში ცხოვრობს, თავისი საქმე აქვს, თუმცა, სოფლის სიყვარული, ჯერ კიდევ ბავშვობიდან მოსდევს. ქმრისეული სოფელიც მშობლიურ გურიას მიამსგავსა, შეიყვარა და გადაწყვიტა, სოფლის მეურნეობაშიც ეცადა ბედი. არჩევანი უეკლო მაყვალზე გააკეთა, ბაზარიც შეისწავლა, კულტურასთან ურთიერთობაც და 0,70 ჰა-ზე ბაღიც გააშენა. ადვილი რომ არ იყო, თავიდანვე იცოდა, არ შეუშინდა და დღეს უკვე სიამოვნებით გაყურებს ერთწლიან ბაღს, რომელმაც შრომა წელსვე დაუფასა და გიშრისფერი, დამტკბარი ნაყოფიც შესთავაზა მადლიერების ნიშნად. მანამდე კი ბევრი შრომა, დიდი მონდომება და ძალისხმევა იყო, რაზეც თავად ქალბატონი ნანა შარაშიძე ისაუბრებს, რომელიც ერთგვარი მაგალითიცაა ქალბატონებისთვის, როგორ შეიძლება ქალმა დაიწყოს და აკეთოს საქმე:

–ამ სოფელთან მაკავშირებს მეუღლე და შვილები. როდესაც ჩემმა მეუღლემ თავისი ოჯახის გასაცნობად წამომიყვანა, ძალიან მივამგვანე ჩემს ჩოხატაურს.

გადავწყვიტე, რომ ჩემი კუთხე მომეწყო აქ. ეს დაახლოებით 1995 წელია, როდესაც ყველაფერი დანგრეულია ქვეყანაში. თავიდან მხოლოდ ერთი კაკალი იდგა, შემდეგ წყალი გავიყვანეთ და ასე, თანდათანობით დავუბრუნეთ სიცოცხლე და მოვედით აქამდე. და რადგან ამ ადგილას მხოლოდ მცირე კულტურებია გავრცელებული, სიმინდი და ლობიო, მოსახლეობა ამ კულტურების მოყვანითაა დაკავებული. მითუმეტეს, რომ სოფლის მეურნების სამინისტროსგან არსებობს კეთილი ნება და დიდი სურვილი, რომ ძველი ჩანაცვლდეს ისეთი კულტურებით, რისი პერსპექტივაც ნიადაგს აქვს. როდესაც გადავწყვიტე, რომ სოფლის მეურნეობით სერიოზულად დავინტერესებულიყავი, თავდაპირველად, ნიადაგის ანალიზი გავაკეთე, რომ შემდეგ შესაბამისი კულტურის ათვისება შემძლებოდა.

- თავდაპირველად რითი დაიწყეთ? აქ მაყვლის გარდა სხვა კულტურებსაც ვხედავ...

–ხეხილის გახარებით დავიწყეთ. ქართულ ოჯახში ღვინის დაყენება ტრადიციაა, კახეთიდან შემოვიტანე "კაბერნე" და "საფერავი", რომლებიც არაჩვეულებრივად მოერგო ჩვენს ნიადაგს და კლიმატს. ამ ყველაფერს დიდი შრომა უდევს წინ. როცა სატრანსპორტო მიმოსვლა შეზღუდული იყო, მატარებელს დავყვებოდი თბილისიდან, რომ მიმეხედა ყველაფრისთვის. არც წყალი იყო, რაც გვირთულებდა შრომას.

- ორი პროფსია გაქვთ, გაქვთ არასამთავრობო ორგანიზაცია, რატომ დაინტერესდით სოფლის მეურნეობით, როდესაც ეს უკანასკნელი თქვენგან დიდ დროს და ენერგიას მოითხოვს?

–ძალიან მიყვარს მიწა, იგი იძლევა უდიდეს ენერგიას. როგორც გითხარით, გურიაში გავიზარდე, სადაც ბავშვობიდან ვიყავით ჩართული სოფლის მეურნეობაში, რამაც გარკვეული გამოცდილებაც მომცა და ამ საქმის სიყვარულიც. გაგიკვირდებათ და ვაზთან ურთიერთობაც კარგად ვიცი, მოვლის ყველა პროცედურა, გასხვლიდან დაწყებული, ბოლო ეტაპამდე. ნელ-ნელა შევიძინეთ ნაკვეთები, რომელიც მთლიანობაში 70 მეასედია. მეზობელსაც ვთხოვდი, კოოპერატივი გაგვეკეთებინა და ვერ დავაინტერესე, რადგან აქ ტრადიციულ მეურნეობას მისდევენ, რომელიც ნაკლებად ამართლებს ახლა.

- რატომ მაყვალი?

–უამრავი ინფორმაციაა დღეს გავრცელებული და ხელმისაწვდომი ინტერნეტით. მეც ერთხელ ტელევიზიით ვნახე თენგიზ კალანდაძის გადაცემა, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის დეპარტამენტის ხელმძღვანელია. ისეთი დამაჯერებლობით საუბრობდა

კენკრის უპირატესობებზე, თვისებებზე, მოთხოვნილებაზე ევროპის ბაზარზე და იმ ნიშაზე, რაც შეიძლება საქართველომ დაიკავოს ამ კულტურით, რომ იმ საღამოსვე გადავწყვიტე არჩევანი კენკრის ამ სახეობაზე გამეკეთებინა. მან ამ გადაცემაშივე გაგვაცნო გურჯაანელი ქალბატონი, იზოლდა ქიტესაშვილი, რომელიც დღეს 40 ტონა მაყვალს აწარმოებს. არსებობს ექსტენციის ცენტრები, რომლებიც არის საინფორმაციო დატვირთვის, ერთ-ერთი ცენტრი კაჭრეთშია, ეს ქალბატონი ამ შეხვედრაზე, ქმრის ნაცვლად წავიდა, მისცეს ჟოლოს და მაყვლის ნერგები. გაიხარა მაყვალმა. იგი მესაუბრა, თუ როგორ მოიყვანა მაყვლის გარკვეული რაოდენობა, გაიტანა ბაზარზე და მოთხოვნილების შემდეგ, გადაწყვიტა გაეზარდა მასშტაბები და ამ საქმით სერიოზულად დაინტერესებულიყო. მოვძებნე ეს ქალბატონი, ჩავაკითხე გურჯაანში, ვიყიდე 15 ნერგი, საიდანაც 5 გავაჩუქე და 10 მე დავრგე. შარშანვე მომცა ნაყოფი, რომელიც ძალიან ტკბილი იყო. როდესაც ქალბატონ იზოლდას ვესაუბრე, მან დეტალურად ამიხსნა მთელი პროცესები. თუმცა, შიშის მომენტი მაინცაა. პარალელურად, სახლის მშენებლობაც დავიწყეთ გასულ წელს და წყალი სისტემატურად მიეწოდებოდა. აღმოჩნდა, რომ წყლის და ნესტის მოყვარულია, ამ დაკვირვებამაც მომცა გარკვეული ინფორმაცია. მეც მომეცა სტიმული. შაქრიანობა კახეთში 12 %-ზე იყო ასული, როდესაც სერბეთში 7%-ზე ადის, სერბეთი არის დღეს ევროპის ბაზრის პირველი მიმწოდებელი, რომელმაც მაყვლის ექსორტით ომის შემდეგ დაძლია ფინანსური კრიზისი. შეიმუშავეს ასეთი გეგმა, გააკეთეს პავილიონები, სადაც ხდებოდა მაყვლის მიღება-ჩაბარება, მოსახლეობას პატარა ვედროებითაც კი მიჰქონდა და აბარებდა მაყვალს. დღეს ქართულ მაყვალს შესწევს უნარი, თავისი ადგილი დაიმკვიდროს ნებისმიერი წამყვანი ქვეყნის ბაზარზე, რადგან მიწა და წყალი აძლევს უნიკალურ გემოვნურ თვისებებს.

- რომელიმე სახელმწიფო პროგრამით თუ ისარგებლეთ?

–იმდენად მოტივირებული ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა მივიღე ფეხზე, ეტლით ჩამოვდიოდი თბილისიდან, რომ მიმეხედა. მივწერე სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სამსახურს, რომელიც ახორციელებს პროგრამებს "აწარმოე საქართველოში", "დანერგე მომავალი", "აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა", მაგრამ არც ერთ პროგრამაში არ იყო ჩასმული კენკრა. ვწერდი, რომ ის სიკეთეები, რომელიც ამ პროგრამას უნდა მოეტანა მოსახლეობისთვის, ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის იყო მიუწვდომელი, რადგან მოთხოვნის თანახმად, ბენეფიციარს უნდა ჰქონოდა 1 ჰა მიწა, რაც ჩვენთვის შეუძლებელი იყო, რადგან მცირე რაოდენობითაა მიწები დანაწილებული სხვადასხვა ადგილას. მართლაც, დაიწია ამ მაჩვენებელმა. ამის შემდეგ უკვე დავიწყე ნაკვეთის შემოღობვა, მობილიზება გავუკეთეთ თანხას, დავხანით, მოვამზადეთ დასარგავად. ამის შემდეგ შესაძენია ნერგები, წვეთოვანი სისტემა. ავიღეთ საბანკო ვალდებულება. ქალბატონ იზოლდასგან ჩამოვიტანეთ, ორი ჯიშის მაყვალი, ჩესტერი და სამმაგი გვირგვინით (dif graun). ძალიან დიდი მხარდაჭერა მქონდა კენკროვანთა ასოციაციისგან, დამაიმედეს, რომ გასაღებაზე პრობლემა არ შემექმნებოდა, ეს არი უკონკურენციო, უეკლო ბიზნესი. მივიღე მონაწილეობა "აგროწარმოების პროგრამაში", სადაც 40%-ს გიფინანსებს სახელმწიფო, მაგრამ ეს ვრცელდება მხოლოდ სანერგე მასალაზე და წვეთოვანი სისტემის მოწყობაზე. მოვამზადეთ ნიადაგი, სანამ გადავიტანდით ნერგს.

მაყვალს ძალიან ბევრი სასარგებლო თვისება აქვს და შესაბამისად, დიდი გამოყენებაც სხვადასხვა წარმოებაში. ევროპელების ყოველდღიურ რაციონშია ჩასმული.

სახელმწიფოც, გარკვეულწილად იცავს კენკრის მწარმოებელ ფერმერებს, და ათავისუფლებს საბაჟო გადასახადებისგან როდესაც საექსპორტოდ გაგაქვს.

- შემდგომში რა ფორმით აპირებთ რეალიზებას?

–არსებობს შოკური გაყინვის მეთოდები და მაცივრები. საკმაოდ ძვირია, ფასიც მოცულობის შესაბამისად. ჩემი მეგობრები, რომლებსაც ჟოლო მოყავთ, არ ყიდიან იმავე წელს, ყინავენ და როდესაც საბაზრო ფასი იწევს, ზამთარში მიაქვთ საზღვარგარეთ.

- სულ რამდენი ძირი გაქვთ დარგული?

–დავრგეთ 1800 ძირი, საცალო ფასი 2 ლარი იყო, საიდანაც 40%-ის ვალდებულება სახელმწიფომ აიღო, გავაკეთეთ წვეთოვანი სისტემა, რომლის ფასიც 5000 ლარამდე იყო.

- ახლა რა ეტაპზე ხართ?

–ამ ეტაპზე ორჯერ ჩავუტარეთ კულტივაცია მოტობლოკით, ხელით გავათოხნინეთ, შეწამვლას არ საჭიროებს, თან მინდა, იყოს ბიოპროდუქტი, რომ მომხმარებლამდე აბსოლუტურად ჯანმრთელი პროდუქტი მივიდეს.

თ. ჯავახიშვილი

გუბერნატორი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს გაეცნო

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორ კახა სამხარაძეს და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, მიმდინარე წლის 10 ივნისს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები

გააცნო. ხელისუფლების წარმომადგენლები დაბა სურამში და დაბა ქვიშხეთში იმყოფებოდნენ, სადაც მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხებით ხიდების, გზების და ნაპირსამაგრი კედლების მოწყობის ღონისძიებები ინტენსიურად მიმდინარეობს.

გამგებელმა და გუბერნატორმა დაბა ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის სამუშაოებიც დაათვალიერეს. პროექტი, რომლის ღირებულებაც 887 000 ლარია, ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტი სტანდარტების სრული დაცვით მიმდინარეობს და უმნიშვნელოვანესია კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ტურიზმის ხელშეწყობის

თვალსაზრისით.

ქართველი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, ლიტერატორისა და მთარგმნელის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის რეაბილიტირებული სახლ-მუზეუმი, 2018 წლისთვის უკვე შეძლებს დამთვალიერებლის მიღებას და იმ 900-მდე ექსპონატის, დოკუმენტის თუ ფოტომასალის უკეთ წარმოჩენას, რომლებიც მუზეუმშია დაცული.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმებსა და სამომავლო სტრატეგიაზეც იმსჯელეს.

ინფრასტრუქტურული პროექტები გეგმის მიხედვით ხორციელდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა, გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა.

ქალაქ ხაშურში, გაგარინის ქუჩაზე, ახლად მოწყობილი სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერი მოეწყობა. პროექტის განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 89 248 ლარია გამოყოფილი. სამუშაოები ოქტომბრის ბოლოს დასრულდება და გართობისა და დასვენებისთვის ქალაქს კიდევ ერთი სივრცე შეემატება.

დაბა სურამში, ცენტრალურ სტადიონზე, გასახდელების მოწყობის სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 43 483 ლარი გამოიყო. პროექტი ინტენსიურად მიმდინარეობს. იგი უახლოეს ხანებში დასრულდება და ხელს შეუწყობს პროფესიული სპორტის განვითარებას.

ასევე ინტენსიურად მიმდინარეობს, დაბა სურამში, 26 მაისის ქუჩაზე, სტიქიის დროს დაზიანებული კედლების მოწყობის სამუშაოები. აღნიშნულისთვის 136 994 ლარია გამოყოფილი. პროექტი წლის ბოლომდე გაგრძელდება და შესაძლო სტიქიის პრევენციისთვის მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს. 26 მაისის ქუჩის მოსახლეობის წარმომადგენლების განცხადებით, სამუშაოები ხარისხიანად და მუყაითად სრულდება, რისთვისაც მათ გამგებელსა და მშენებლებს მადლობა გადაუხადეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა უკვე დასრულებული პროექტებიც დაათვალიერა. კერძოდ, დაბა სურამში, ჩუმათელეთის დასახლებაში რეაბილიტირებული მინისტადიონი და სოფელ ხცისში მოწყობილი მინისტადიონი.

აღნიშნული პროექტების ღირებულებამ ჯამში 92 783 ლარი შეადგინა.

ადგილობრივმა ბიუჯეტმა დააფინანსა დაბა სურამში, იტრიის დასახლებაში მინისტადიონის რეაბილიტაცია. პროექტმა 28 655 ლარი შეადგინა. სტადიონების მშენებლობა -რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის გამგეობის პრიორიტეტს წარმოადგენს, რადგან ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას და დამკვიდრებას.

ალოობამ წარმატებით ჩაიარა

ალოობა-2017 წარმატებით დასრულდა. კამპანია, რომელიც 15 ივლისს დაიწყო, თითქმის ერთი თვე გაგრძელდა. ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, მოგეხსენებათ, ხაშურის მუნიციპალიტეტში ეს პროცესი შედარებით გვიან იწყება. ეს, ერთის მხრივ, კარგიცაა, რადგან გამოთავისუფლებულ ტექნიკას „მსხვილი დატვირთვები" ეხსნება და, ასე ვთქვათ, ადვილად ხელმისაწვდომი ხდება. როგორც ჩვენთან საუბარში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო- საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ჯემალ გელაშვილმა განაცხადა, ალოობისათვის მზადება გაზაფხულიდანვე დაიწყო და ყველაფერი გეგმა-გრაფიკის მიხედვით წარიმართა. ეს გრაფიკი თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით იყო შედგენილი და აბსოლუტურად ითვალისწინებდა ყველა მათ მოთხოვნას და დროს. ალოობაში 24 კომბაინი იღებდა მონაწილეობას, საიდანაც 12 შპს „მექანიზატორის", ხოლო დანარჩენი კერძო მფლობელებისა იყო. მთლიანად მუნიციპალიტეტში ხორბალი 2730 ჰექტარზე იქნა აღებული, ქერი - 600 ჰექტარზე, შვრია კი – 900 ჰექტარზე. სულ კი მოსავლის რაოდენობამ ხორბალზე 6 ათასი ტონა, ქერზე კი 900 ტონაზე მეტი შეადგინა. სამწუხაროდ, მკაცრმა ზამთარმა და არახელსაყრელმა ამინდებმა დიდი გავლენა იქონია მოსავალზე და მოსავლის საშუალო რაოდენობა თითქმის განახევრდა. სტატისტიკა კი ჰექტარზე გათვალისწინებით ასეთია: ხორბალი 2,2 ტონა, ქერი – 1,6 ტონა, შვრია, როგორც საგაზაფხულო კულტურა, უფრო უხვმოსავლიანი გამოდგა და უმეტესწილად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვებ კულტურად იქნა აღებული თივის სახით. აღსანიშნავია, რომ მისი ხარისხი ძალიან მაღალი იყო.

დღეისათვის ტექნიკა მზადაა, გაწერილია გეგმა-გრაფიკი და უახლოეს დღეებში საშემოდგომო ხვნები დაიწყება, - აღნიშნა საუბრის დასასრულს ჯემალ გელაშვილმა.

- ტრიუმფი ბულგარეთში -

ანსამბლი „ფრესკა“ საერთაშორისო ფესტივალიდან გრანპრით დაბრუნდა

დღევანდელ ნომერში, ჩვენს ქალაქში მოქმედი პოპულარული და წარმატებული ქართული ცეკვის ანსამბლის „ფრეკას” შესახებ გიამბობთ, რომელიც ხაშურს ტრიუმფით დაუბრუნდა. ანსამბლმა, ბულგარეთში გამართულ საერთშორისო ფესტივალზე გრანპრი მოიპოვა, რითაც კიდევ ერთხელ განამტკიცა ქართველების, როგორც უდიდესი კულტურის მქონე ერის სახელი, მათი უბადლო და უსაზღვრო ნიჭიერება, ეროვნული სულისკვეთება, სიყვარული და პატივისცემა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისადმი.

პირველად არ ხდება, რომ „ფრესკას”, თავდაუზოგავი შრომით, საქართველოს სახელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გააქვს, უპირველეს ყოვლისა კი, ჩვენი პატარა ქალაქის სახელი. ნამდვილად, შესაქები და დასაფასებელია მათი წვლილი ამ დიდებულ საქმეში. ქართული ცეკვა, როგორც ქართული კულტურის უნიკალური ფენომენი, თითოეული ქართველის გულსა, გონებასა თუ გენში ღრმად არის გაჟღენთილი. იმიტომაცაა, რომ ყველა ქართველს, პატარაობიდანვე გულს უჩქროლებს, ქართული ცეკვის ტემპერამენტი, ხასიათი, უღვივდება საბრძოლო ჟინი, სამშობლოსათვის თავდადების გრძნობა. ზუსტად ასეთი პატრიოტი ყმაწვილქალებით თუ ყმაწვილკაცებით ივსება ჩვენი ანსამბლი „ფრესკაც”, რომელიც ყოველ ჯერზე ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობს.

„ხაშურის მოამბე” ანსამბლის უნიჭიერეს და ქარიზმატულ ხელმძღვანელს, შესანიშნავ ქორეოგრაფს, ელენე რატიანს ესაუბრა.

- ქალბატონო ელენე, მოგვიყევით იმ წარმატებაზე, რომელიც ბულგარეთში მიაღწიეთ?

– 3 აგვისტოს, გავემგზავრეთ ბულგარეთის ქალაქ ნესებრში, ნაციონალური ცეკვების საერთაშორისო ფესტივალზე, სახელწოდებით „ფოლკარტი”. მონაწილეობას იღებდნენ სახადასხვა ქვეყნების ფულკლორული ანსამბლები: სერბეთის, ბულგარეთის, მოლდოვის, რუმინეთის, უკრაინის, ბელორუსიის და მათ შორის ჩვენც – ანსამბლი „ფრესკა” ხაშურიდან. ფესტივალისათვის ორი დღე იყო განკუთვნილი. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები მგზავრობისაგან გადაღლილები იყვნენ, მივიღეთ პირველი დღის კონკურსზე მონაწილეობა

და საკმაოდ წარმატებულადაც, საუკეთესოდ გაართვეს ბავშვებმა თავი დაკისრებულ მოვალეობას. ფესტივალზე ორი ცეკვით წარვსდექით: კავკასიურით და მთიულურით, გაკეთებული გვქონდა კომპოზიცია და სწორედ კომპოზიციის საუკეთესოდ წარმოჩენისათვის დაგვაჯილდოვეს გრანპრით - ქორეოგრაფიული ცეკვის საუკეთესოდ დადგმისათვის. აქვე აღვინიშნავ, რომ ბულგარეთში ჩვენი ანსამბლი მეორედ იმყოფებოდა, თუმცა, მაშინ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი მყავდა წაყვანილი. პირველ ჯერზეც შინ გრანპრით დაებრუნდით.

- ვისი ეგიდით გაემგზავრა ანსამბლი ბულგარეთში, დაფინანსება თუ გქონდათ ქვეყნის საზღვრებს გარეთ კონკურსში მონაწილეობისათვის?

– ჩვენს გამგზავრებას ბულგარეთში წინ უძღოდა კონკურსი, რომელიც თბილისის მერიის კულტურის სამსახურის ეგიდით ჩატარდა, უამრავ მონაწილეს შორის აირჩია სამი ანსამბლი: ორი თბილისიდან, ერთიც – ჩვენ, ხაშურიდან. „ფრესკა” გაემგზავრა ბულგარეთში, თბილისის ანსამბლები კი – საბერძნეთში. რაც შეეხება დაფინანსებას, მოხდა ნაწილობრივ. კონკურსში მონაწილეობა უნდა მიეღო 30 ბავშვს, თბილისის მერიის კულტურის სამსახურმა დააფინანსა მხოლოდ 10 ბავშვის ხარჯები, თუმცა, მხოლოდ ამ რაოდენობით ვერ გავემგზავრებოდით, ამიტომ, დანარჩენი 20 ბავშვის ხარჯები, მშობლებმა აანაზღაურეს. თანადაფინანსებისთვის დიდ მადლობას ვუხდით თბილისის მერიის კულტურის სამსახურს, მათივე უზრუნველყოფით მოხდა ჩვენი გამგზავრება, გამგვეყო ავტობუსიც. ადგილზე ჩასულებს დაგხვდა შესანიშნავი სასტუმრო, სრული კომფორტი იყო შექმნილი ბავშვებისათვის. ყოველ საღამოს იმართებოდა სახალისო შეჯიბრებები, ბავშვები საკუთარ ნაციონალურ ცეკვებს ცვლიდნენ ერთმანეთში. ვფიქრობ, თითოეული მათგანი კმაყოფილი დაბრუნდა შინ, თუ დავამატებთ იმას, რომ გრანპრიც მოვიპოვეთ. აქვე დავამატებ, რომ ბულგარეთში წინასწარ გავგზავნე ანსამბლის მონაცემები, კონკურსის მესვეურებმა ჩათვალეს, რომ ჩემი ბავშები თავისუფლად შეძლებდნენ კონკურსზე ასპარეზობას, გამომდინარე იქიდან, რომ ფესტივალი ზრდასრული მონაწილეებით იყო დაკომპლექტებული. ძალიან დიდ სიყვარულს და პატივისცემას ვგრძნობდით მათი მხრიდან. სიხარულით გვთხოვდენენ, რომ ქართული ცეკვის მოძრაობები და ილეთები გვესწავლებინა მათთვის, როგორც ეს ლატვიაში ვიზიტის დროს მოხდა - ლატვიის სახელმწოფო ანსამბლის მოცეკვავეებს ჩავუტარეთ მასტერკლასი.

- როგორც ჩვენთვის ცნობილია, "ფრესკას" სხავადსხვა დროს, არაერთი ჯილდო და წარმატება ხვდა წილად, მოვუყვეთ ჩვენს მკითხველსაც ამის შესახებ...

– მრავალი წელია ანსამბლი ქობულეთში მიემგზავრება ფესტივალზე, საიდანაც, ყოველთვის პირველი ადგილი ჩამოგვაქვს. იქ ქართული ცეკვის კორიფეებთან გვიწევს ჩვენი ცეკვის წარმოჩენა, რაც თავის მხრივ დიდი პასუხისმგებლობაა. უდიდესი გულისყურითა და მონდომებით ვეკიდებით ჩვენ საქმეს, როდესაც ქვეყნის შიგნით გვიწევს

გამოსვლა. საზღვარგარეთ ქართული თითქმის ყველაფერი მოსწონთ, განსაკუთრებით კი ნაციონალური ცეკვები. აქ კი კრიტიკული მაყურებელია, ვერაფერს გამოაპარებ, უმნიშვნელო შეცდომაც კი უპატიებელია. ქობულეთის კონკურსი, როგორც ქორეოგრაფს და შემოქმედს, პროფესიულად მზრდის, მე თუ არ დავინახე იქ კოლექტივები როგორ მუშაობენ, ერთ დონეზე შევჩერდები და შევწყვეტ განვითარებას. ასევე, საბერძნეთში ვიყავით ფესტივალზე, სადაც აშშ-ს და კუბის მონაწილეებთან გვიწევდა საინტერესო ასპარეზობა, ლატვიაში გახლდით ბაუსკაში, დაგვაფინანსა მუნიციპალიტეტის გამგეობამ, 20 ბავშვი წავიყვანე და ჩინებულად იცეკვეს, ბაუსკის სახელმწიფო ანსამბლის იუბილეზე ვიყავით მიწვეულნი. როდესაც ლატვიელები ხაშურქალაქობაზე იყვენ ჩამოსულები, ნახეს ჩვენი ანსამბლის გამოსვლა, მოეწონათ და მოწვევაც გაგვიკეთეს.

- მრავალი წელია ანსამბლი "ფრესკა" წარმატებით მოღვაწეობს ჩვენს ქალაქში, რა პრინციპებს ეყრდნობით ხელმძღვანელობისას?

– ძალიან მომთხოვნი ადამიანი ვარ ჩემ პროფესიაში, გაუჩერებლად ვშრომობ, ვქმნი ახალს.. ვაკეთებ ყოველთვის მაქსიმუმს და ბავშვებისაგანაც მაქსიმუმს ვითხოვ, მაქსიმალურად ვტვირთავ მათ. ყოველთვის ვთავაზობ ახალ-ახალ დადგმებს და ისინიც, შესაბამისად, ინტერესდებიან. უახლოეს მომავალშიც ვგეგმავ ახალი ცეკვის დადგმას, პროფესიაც შესაბამისი მაქვს, ქართული ხალხური ცეკვების დამდგმელი ქორეოგრაფი. მართალაც ასეა, მრავალი წელია ჩვენ ამ ღირსეულ საქმეს ვეჭიდებით. ანსამბლი 1989 წელს შეიქმნა, ამჟამად კი წევრთა რაოდენობამ ასს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ „ფრესკა” ერთადერთი ანსამბლია საქართველოში, რომელიც ასეთი მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა. ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას ვეტყვი ჩემ ვაჟს, გიორგის, უნიჭიერეს, პროფესიონალ მოცეკვავეს, ყოველთვის გვერდში მიდგას, მამხნევებს და მეხმარება. სამომავლოდ, ვგეგმავ დედის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტს, დიდი ხანია ამ დღისთვის ვემზადები, ვიმედოვნებ, სრულყოფილი გამოვა.

თ. ახალკაცი

D იყიდება სახლი

სასწრაფოდ იყიდება ორსართულიანი სახლი სოფელ ბეკამში 1720 მ2 ფართობი ხეხილიანი ეზოთი. გაზი, წყალი შეყვანილია.

ტელ: 555 95 109 59. 574 01 90 23.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს მე-7 საბავშვო ბაღის მენეჯერს ლიანა საბანაძეს მეუღლის

გოგი საბანაძის

გარდაცვალების გამო. D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.